

# ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სახელმძღვანელო



სსიპ განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრი

2022



## სარჩევი

წინასიტყვაობა.....	2
გამოყენებულ ტერმინთა განმარტება .....	3
1. შესავალი.....	5
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შექმნის ისტორია.....	5
2. ევროპული მეტა-ჩარჩოები .....	8
2.1. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო (QF-EHEA).....	8
2.2 ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისათვის (EQF-LLL);.....	11
2.3 ევროპული მეტა-ჩარჩოები: მსგავსება და განსხვავება.....	13
3. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო.....	15
3.1. ჩარჩოს მიზნები.....	15
3.2. სტრუქტურა და შინაარსი (დონეები და კვალიფიკაციები) .....	18
3.3 კანონმდებლობით განსაზღვრული კვალიფიკაციები და მათი სახეები .....	25
3.3.1 კვალიფიკაციის დაჯგუფება სახეების მიხედვით.....	26
3.3.2 კვალიფიკაციის სახეები ქვესისტემების მიხედვით .....	27
3.4 კვალიფიკაციის ჩართვა ჩარჩოში და ხარისხის უზრუნველყოფა.....	32
4. კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრი.....	36
4.1. რეესტრის სტრუქტურა და ინფორმაცია .....	37
4.2. ჩარჩოს მართვა განვითარება და მონიტორინგი .....	41
4.2.1. ჩარჩოს მართვა და განვითარება .....	41
4.2.2. ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს მონიტორინგი.....	42
4.2.3. მრჩეველთა საბჭო.....	44
5. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების ან/და შესაბამისობის განსაზღვრა.....	45
5.1. რეკომენდაციები ჩარჩოს თითოეული დონის აღმწერების შესაბამისი სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისთვის. ....	45
6. გამოყენებული ლიტერატურა და სასარგებლო ბმულები.....	51
დანართი N1. ბლუმის ტაქსონომიის ზმნები .....	52



## წინასიტყვაობა

სახელმძღვანელო მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს დაინტერესებული მხარეებისთვის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დანიშნულების, მიზნების, სტრუქტურისა და შინაარსის გაცნობას, გაგებასა და მის ეფექტურ ინსტრუმენტად გამოყენებას.

2018 წელს, განათლების ევროპული ფონდის (ETF) მხარდაჭერით მომზადდა სახელმძღვანელოს პირველადი ვერსია. დოკუმენტის საბოლოო ვერსიის მოსამზადებლად 2022 წელს შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც გადამუშავა დოკუმენტი, კვალიფიკაციების არსებული სისტემის შესაბამისად.

სახელმძღვანელო შეთანხმებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით შექმნილ მრჩეველთა საბჭოსთან. სახელმძღვანელო რეგულარულად განიხილება და განახლდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციებისა და ეროვნულ დონეზე კვალიფიკაციების სისტემის ანალიზის შესაბამისად.

### სამუშაო ჯგუფი:

ქეთევან ფანჩულიძე

ნინო გოგლიჩიძე

სოფო გაფრინდაშვილი

ხატია ბერიძე

ნინო ხითარიშვილი

თორნიკე ბაქაქური

ქეთევან ციხისელი

თამარ რატიანიძე



## გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ წარმოადგენს მთავარ ნორმატიულ დოკუმენტს, რომელიც განმარტავს ჩარჩოს ძირითად ტერმინებსა და მიზნებს და აჩენს საფუძვლებს ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის მიზნით განსახორციელებელი მექანიზმებისთვის.

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო** – ინსტრუმენტი, რომელიც ახდენს კვალიფიკაციების სწავლის შედეგების მიხედვით კლასიფიცირებას განათლების ქვესისტემების (ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება, არაფორმალური განათლება) ინტეგრირებისა და კოორდინირების, აგრეთვე კვალიფიკაციის ხარისხის გაუმჯობესების, გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობისა და განვითარების მიზნით, შრომის ბაზრისა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით;

**კვალიფიკაცია** – უფლებამოსილი დაწესებულების/დაწესებულებების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით;

**სწავლის შედეგი** – განაცხადი პირის მიერ მისაღწევი „ცოდნისა და გაცნობიერების“ (სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი), „უნარის“ (კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა) ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ (ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) შესახებ;



**ფორმალური განათლება** – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას;

**არაფორმალური განათლება** – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას;

**სწავლის სფეროების კლასიფიკატორი** – ინსტრუმენტი, რომელიც ახდენს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებას და განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი** – უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის მიზნებისთვის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით კლასიფიცირებული, შინაარსობრივად (პროგრამის შინაარსი, სწავლის მიზნები და შედეგები) დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები (გარდა ერთობლივი და დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამებისა. საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერად დაჯგუფების წესი და პირობები განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებით (შემდგომ – აკრედიტაციის დებულება).



## 1. შესავალი

### ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შექმნის ისტორია

1999 წლის 19 ივნისს, ევროპის 29 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა, იტალიის ერთ-ერთ უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქში, ხელი მოაწერეს ბოლონიის დეკლარაციას, რომელიც მიზნად ისახავდა განათლების ერთიანი ევროპული სივრცის ჩამოყალიბებას.

2005 წელს, ბერგენის სამიტზე, ბოლონიის პროცესის წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო. იმავე სამიტზე, საქართველო გახდა ბოლონიის პროცესის წევრი და ამით აიღო განათლების სისტემის მოდერნიზებისა და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ვალდებულება, რამაც თავის მხრივ ბიძგი მისცა კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს ჩამოყალიბებას საქართველოში.

საქართველოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოზე მუშაობა დაიწყო 2007 წელს, პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა პროფესიული განათლების ჩარჩოზე, რომელიც ითვალისწინებდა ევროკომისიის სამუშაო დოკუმენტებს და მოგვიანებით კი 2008 წლის რეკომენდაციას “მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ”. თუმცა, აღნიშნული პერიოდისათვის შემუშავებული დოკუმენტები არ დამტკიცებულა.

საბოლოოდ, 2010 წელს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 120-ე ბრძანებით დამტკიცდა “ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო”. აღნიშნული დოკუმენტი აერთიანებდა განათლების შემდეგი ქვესისტემების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სამ დამოუკიდებელ ჩარჩოს.

2014 წლის 27 ივნისს, საქართველომ ხელი მოაწერა ევროპასთან ასოცირების შეთანხმებას. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად, მხარეებმა უნდა ითანამშრომლონ განათლებისა და ტრენინგის სფეროში ევროკავშირის პოლიტიკისა და პრაქტიკასთან დაახლოებისათვის. ამ მიზნით, საქართველომ უნდა გაითვალისწინოს ისეთი დოკუმენტები, როგორცაა





ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2008 წლის No 2008/C 111/01 რეკომენდაცია “მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავების შესახებ” და ასევე ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2004 წლის No2241/2004/EC გადაწყვეტილება ე.წ. “კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების გამჭვირვალობისათვის საერთო ჩარჩოს (ევროპასის) შესახებ.” ამდენად, დღის წესრიგში დადგა ერთიანი ჩარჩოს შემუშავების საკითხი, რომელიც ერთ სტრუქტურაში აღწერდა ყველა კვალიფიკაციას.

2014 – 2017 წლებში დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი აქტივობები მოქმედი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს პრინციპებთან კიდევ უფრო დაახლოების მიზნით. ეროვნულ დონეზე, დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით, გაანალიზდა ის ძირითადი სისტემური ხარვეზები, რომლებიც აფერხებდა ევროპის მეტა ჩარჩოს მთავარი პრინციპის, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის უზრუნველყოფის შესაძლებლობის დაწესებას. განხორციელებული ანალიზის საფუძველზე მომზადდა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს პროექტი და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.

2017 წელს, განათლების ევროპული ფონდის (ETF) დახმარებით, საბოლოოდ გაანალიზდა ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობა. ETF-ის ექსპერტების მიერ მომზადებული რეკომენდაციების გათვალისწინებით ჩასწორდა და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად გაეგზავნა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც საფუძვლად დაედო ცვლილებებს საქართველოს კანონებში განათლების ხარისხის განვითარების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების შესახებ.

საკანონმდებლო ცვლილებებმა, რომლებიც 2018 წელს განხორციელდა ძირითად კანონებში და შესაბამისმა კანონქვემდებარე დოკუმენტებმა, გააჩინა შესაძლებლობები:

- განათლების სისტემაში არსებული ჩიხის აღმოფხვრისა და განათლების ქვესისტემების მიერ გაცემული კვალიფიკაციების ურთიერთდაკავშირებისათვის, მათ შორის პროფესიული განათლებიდან უმაღლეს განათლებაში პროგრესიისათვის;



- განათლების სისტემის გარეთ არსებული იურიდიული პირების მიერ გაცემული პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კვალიფიკაციების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში ჩართვისა და პროფესიული განათლების მიზნებისათვის მათი აღიარებისათვის (ფორმალური განათლების აღიარება);
- პროფესიულ განათლებაში არაფორმალური განათლების აღიარებისა და ზოგადად, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობისათვის;
- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობისათვის;
- კვალიფიკაციების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისათვის;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მუდმივი მონიტორინგისა და შემდგომი განვითარებისათვის.

2019 წლის 19 აპრილს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 69/ნ ბრძანებით, დამტკიცდა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი.

განახლებული ჩარჩო ითვალისწინებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა (EQF LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) მოთხოვნებს, სახელმძღვანელო პრინციპებს და ერთიან სტრუქტურაში ასახავს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას. ასევე, აყალიბებს თუ რა ცოდნა, უნარი და ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს პირს, შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად.

კლასიფიკატორი გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტებზე („განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013) დაყრდნობით, ახდენს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებას და განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას.





## 2. ევროპული მეტა-ჩარჩოები

საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავებას საფუძვლად დაედო ევროპის დონეზე არსებული ორი ჩარჩო: მთელი ცხოვრების მანძილზე ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო (EQF LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო (QF-EHEA). ამ ჩარჩოების მეშვეობით ხდება სხვადასხვა ქვეყნის ჩარჩოებისა და კვალიფიკაციების დაკავშირება. მათ მეტა-ჩარჩოებს ანუ “ჩარჩოების ჩარჩოებსაც” უწოდებენ.

### 2.1. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო (QF-EHEA)

1999 წლის 19 ივნისს, ხელმომწერი მხარეები შეთანხმდნენ მნიშვნელოვან ერთობლივ ამოცანებზე, 2010 წლისთვის ერთიანი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ჩამოსაყალიბებლად. ბოლონიის პროცესის შედეგების შემსწავლელ პირველ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა პრაღაში, 2001 წლის 19 მაისს, მათ გაზარდეს დასახულ მიზანთა რაოდენობა და კვლავ დაადასტურეს ნაკისრი ვალდებულება. 2003 წლის 19 სექტემბერს, ევროპის 33 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები შეიკრიბნენ ბერლინში, რათა განეხილათ მიღწეული წარმატებები, დაესახათ პრიორიტეტები და ახალი მიზნები, შემდგომი წლებისათვის უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შექმნის დაჩქარების მიზნით. ისინი შეთანხმდნენ შემდეგ მოსაზრებებზე, პრინციპებსა და პრიორიტეტებზე:

ბერლინის კომუნიკეში, უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრებმა მოუწოდეს წევრ ქვეყნებს: “შეიმუშაონ იოლად შესაძარებელი და თავსებადი კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც კვალიფიკაციებს აღწერს სამუშაოს მოცულობის/დატვირთვის, დონის, სწავლის შედეგების, კომპეტენციების და პროფილის საშუალებით. ასევე, შეიმუშავენ კვალიფიკაციების ჩარჩოს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის”.

ბოლონიის პროცესის მიზანი იყო, 2010 წლისთვის შეექმნა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე, სადაც განათლების სისტემა ორიენტირებული იქნებოდა სტუდენტზე, მის სწავლის შედეგებზე.



ბოლონის პროცესმა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის ჩამოაყალიბა აკადემიური ინფრასტრუქტურა:

- 3 ძირითად საფეხურზე დაფუძნებული თავსებადი და შესადარებელი ხარისხები;
- კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა;
- უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო;
- ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები.

ამასთან, ბოლონის ერთ-ერთ მთავარ დოკუმენტად გამოცხადდა კონვენცია “ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების ცნობის შესახებ” (1997) ე.წ. ლისაბონის აღიარების კონვენცია.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო მიღებულ იქნა 2005 წელს, ბერგენის სამიტზე. დოკუმენტში ცვლილებები შევიდა 2018 წელს, პარიზის სამიტზე. ეს ცვლილება შეეხებოდა მხოლოდ უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში არსებულ ე.წ. მოკლე ციკლს. ჩარჩო ეფუძნება შემდეგ ელემენტებს:

- უმაღლესი განათლების 3 საფეხური, მაგრამ 4 დონე: პირველი საფეხურის ფარგლებში არსებობს პირველი საფეხურის და მოკლე ციკლის დონეები;
- სწავლის შედეგები (ე.წ. დუბლინის დესკრიპტორები) თითოეული საფეხურისათვის/დონისათვის;
- უმაღლესი განათლების I და II საფეხურებზე სასწავლო დატვირთვის გაანგარიშებისთვის ECTS კრედიტების გამოყენება

დუბლინის დესკრიპტორებით კვალიფიკაციების სწავლის შედეგების აღწერა განხორციელდა შემდეგი ელემენტებით:

- ცოდნა და გაცნობიერება;
- ცოდნისა და გაცნობიერების გამოყენება;
- გადაწყვეტილების მიღება;
- კომუნიკაციის უნარი;



- სწავლის უნარი.

გარდა აღნიშნულისა, ბოლონიის პროცესის ფარგლებში, განისაზღვრა უმაღლესი განათლების სამი საფეხურის შესაბამისი საერთო კვალიფიკაციები: I საფეხური - ბაკალავრი; II საფეხური - მაგისტრი; III საფეხური - დოქტორი.

ბოლონიის პროცესმა და კვალიფიკაციების ჩარჩომ ხელი შეუწყო მონაწილე ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემების ჰარმონიზაციას. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ჩამოყალიბდა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ძირითადად მსგავსი, მაგრამ არა იდენტური, სტრუქტურები. ბოლონიის პროცესი არ გამორიცხავს ეროვნულ კონტექსტში 3 საფეხურისათვის განსაზღვრული კვალიფიკაციებისგან განსხვავებული კვალიფიკაციების არსებობას (მაგ., ეროვნულ კონტექსტში რეგულირებადი, ინტეგრირებული პროგრამებით მინიჭებული კვალიფიკაციები), თუმცა აუცილებელია ნებისმიერი სახის კვალიფიკაციის აღწერა სწავლის შედეგებით და ჩარჩოს ერთ-ერთ დონესთან შესაბამისობის განსაზღვრა.

**ცხრილი N1. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ჩარჩოს მახასიათებლები**

საფეხური/ციკლი	კვალიფიკაცია	სწავლის შედეგების აღმწერი	კრედიტები
მოკლე ციკლი პირველ საფეხურთან (ციკლთან) დაკავშირებული ან მის ფარგლებში	მოკლე ციკლის კვალიფიკაცია	დუბლინის დესკრიპტორი	როგორც წესი მოიცავს 90 – 120 ECTS-ის კრედიტს
პირველი საფეხური	ბაკალავრი	დუბლინის დესკრიპტორი	როგორც წესი მოიცავს 180-240 ECTS-ის კრედიტს



<b>მეორე საფეხური</b>	<b>მაგისტრი</b>	<b>დუბლინის დესკრიპტორი</b>	<b>როგორც წესი მოიცავს 90- 120 ECTS-ის კრედიტს და აქედან მინიმუმ 60 კრედიტი უნდა შეესაბამებოდეს მეორე საფეხურის დონეს.</b>
<b>მესამე საფეხური</b>	<b>დოქტორი</b>	<b>დუბლინის დესკრიპტორი</b>	<b>არაა განსაზღვრული</b>

2012 წელს, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ბუქარესტის სამიტის კომუნიკემ, დაადასტურა არა მარტო უმაღლესი განათლების სამი საფეხურის კვალიფიკაციების შესაბამისობა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან, არამედ ასევე აღნიშნა სკოლის დამამთავრებელი კვალიფიკაციის მეოთხე დონესთან შესაბამისობის საკითხიც: “ჩვენი კვალიფიკაციების ჩარჩოების დონეების ერთიანი გაგება მნიშვნელოვანია როგორც აკადემიური, ასევე, პროფესიული საქმიანობის მიზნით აღიარებისათვის. სკოლის დამამთავრებელი კვალიფიკაცია იძლევა უმაღლეს განათლებაში დაშვების უფლებას და განიხილება, როგორც ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეოთხე დონე ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ეკვივალენტური დონე იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არ არიან დაკავშირებულები ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. ჩვენ, კიდევ ერთხელ, ვადასტურებთ, რომ პირველ, მეორე და მესამე საფეხურის კვალიფიკაციებს დავიმოწმებთ/მივუთითებთ ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6, მე-7 და მე-8 დონეებად ან ეკვივალენტურ დონეებად იმ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან დაკავშირებულები ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან”.

**2.2 ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისათვის (EQF-LLL);**

2008 წლის 23 აპრილს, ევროპარლამენტმა და ევროპის საბჭომ დაამტკიცა რეკომენდაცია (2008/C 111/01) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის კვალიფიკაციების ჩარჩოს შექმნის შესახებ, რომელიც 2017 წელს ჩაანაცვლა ახალმა რეკომენდაციამ (2017/C 189/03).

მისი მიზანია, შექმნას საერთო საფუძველი კვალიფიკაციის კლასიფიცირებისათვის. ეს ჩარჩო, სწავლის შედეგების საფუძველზე, აკავშირებს კვალიფიკაციებს მიუხედავად იმისა, ვინაა



კვალიფიკაციის გამცემი საგანმანათლებლო დაწესებულება თუ განათლების სისტემის გარეთ არსებული ნებისმიერი სხვა იურიდიული პირი.

ევროპული ჩარჩო უპირველეს ყოვლისა არის “კვალიფიკაციების მთარგმნელი ინსტრუმენტი” და ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის კვალიფიკაციის ჩარჩოების ან კვალიფიკაციების სისტემების დონეების ურთიერთშედარებას და ამით ერთი ქვეყნის კვალიფიკაციებს გასაგებს ხდის მეორე ქვეყანაში.

ევროპული ჩარჩო შედგება 8 დონისაგან. თითოეული დონე აღწერილია სწავლის შედეგებით, რომელიც შემდეგ კატეგორიებადაა დაყოფილი:

- ცოდნა;
- უნარი;
- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

ევროკომისიის მიერ შემუშავებული საინფორმაციო ბროშურა “განმარტება მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ” დონის აღმწერებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ "აღმწერები შემუშავდა სწავლის ან ინსტიტუციონალური კონტექსტის გათვალისწინების გარეშე და მისი მიზანია, დაფაროს სწავლის შედეგების სრული დიაპაზონი საბაზისო განათლების, სკოლისა და არაკვალიფიციური მუშაკების დონიდან დოქტორანტის ან მთავარი სპეციალისტის/პროფესიონალის დონემდე. აღმწერები მოიცავს როგორც სამუშაო, ასევე სასწავლო სიტუაციებს, აკადემიურ და პროფესიულ გარემოს, როგორც საწყის განათლებას ასევე განგრძობად/უწყვეტ განათლებას და მომზადებას მაგალითად, განათლების ყველა ფორმას: ფორმალურს, არაფორმალურს და თვითგანათლებას” (გვ.4).

კვალიფიკაციების მიმართ ნდობის ჩამოყალიბების მიზნით, ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს ერთ-ერთი მთავარი პირობაა კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა. ხარისხის უზრუნველყოფის გარეშე არ ხდება კვალიფიკაციის აღიარება და მისი ეროვნულ ჩარჩოში ჩართვა ან შესაბამის რეესტრში რეგისტრაცია. ევროპული ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ ეროვნულ



ჩარჩოებში კვალიფიკაციების ასახვის/ჩართვის მთავარი პირობაა კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფა.

ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო აღიარებს “ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის” (ENQA) სტანდარტებს უმაღლესი განათლების სისტემის მიზნებისათვის და თავადაც განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის 10 ძირითად პრინციპს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერი სხვა კვალიფიკაცია.

ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოც ადასტურებს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობას: “ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო თავსებადია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და მის დესკრიპტორებთან. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს მოკლე ციკლი (პირველ საფეხურთან დაკავშირებული ან მის ფარგლებში არსებული), პირველი, მეორე და მესამე საფეხურები შეესაბამება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5-8 დონეებს”.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც ევროპულმა კვალიფიკაციების ჩარჩომ 2017 წელს შემოგვთავაზა, არის კვალიფიკაციების გამოქვეყნებისათვის შესაბამისი ელექტრონული რეესტრის სტრუქტურის ჩამოყალიბება. საჯარო ელექტრონული რეესტრი ყველა დაინტერესებული მხარისათვის ეფექტური და ხელმისაწვდომი ინსტრუმენტია კვალიფიკაციების გამჭვირვალობისთვის (დეტალურად აღწერილია მე-4 თავში).

## **2.3 ევროპული მეტა-ჩარჩოები: მსგავსება და განსხვავება.**

ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსა (EQF LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) მეტა-ჩარჩოებს შორის იკვეთება მსგავსება რამდენიმე ელემენტის მიხედვით:

- ორივე მეტა - ჩარჩო ორიენტირებულია კვალიფიკაციებზე და მათი აღწერისათვის იყენებს სწავლის შედეგების კონცეფციას;
- მსგავსია კვალიფიკაციებისა და სწავლის შედეგების დეფინიციები;
- ორივე მეტა - ჩარჩო მოითხოვს კვალიფიკაციის ხარისხის უზრუნველყოფას;



- ორივე მეტა-ჩარჩოსთან დასაკავშირებლად აუცილებელია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს თვითსერტიფიცირების პროცესის (QF-EHEA ჩარჩოსთვის) ან/და რეფერენსირების პროცესის განხორციელება (EQF LLL ჩარჩოსთვის) მსგავსი კრიტერიუმებისა და პროცედურების საფუძველზე.

მეტა-ჩარჩოებს შორის განსხვავებაა ზოგიერთ სტრუქტურულ ელემენტში, მაგ:

- უმაღლესი განათლების ჩარჩო (QF-EHEA) მოიცავს კრედიტების სავარაუდო რაოდენობას პირველი და მეორე საფეხურისათვის; ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო (EQF LLL) ხელს უწყობს კრედიტების გამოყენებას, მაგრამ არ განსაზღვრავს კრედიტების სავარაუდო რაოდენობას დონეების მიხედვით;
- განსხვავებულია დონეების რაოდენობა;
- განსხვავებულია სწავლის შედეგების კატეგორიები/ელემენტები. უმაღლესი განათლების ევროპული ჩარჩო იყენებს “დუბლინის დესკრიპტორებს,” სადაც სწავლის შედეგები 5 ელემენტითაა აღწერილი. ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს სწავლის შედეგები კი 3 კატეგორიას მოიცავს. ამასთან, ევროპული ჩარჩოს აღმწერი სწავლის სფეროსთან ერთად ყოველთვის მიუთითებს საქმიანობის სფეროსაც.

ზემოაღნიშნულ განსხვავებებს კი უპირველეს ყოვლისა განაპირობებს განსხვავება მეტა-ჩარჩოების მიზნებში. ევროკომისიის საინფორმაციო ბროშურა “განმარტება მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ” ხაზს უსვამს განსხვავებას ამ ორი ჩარჩოს მიზნებს შორის: “ორ მეტა-ჩარჩოს შორის აშკარა მსგავსების მიუხედავად, მათ მიზნებსა და გამოყენებულ დესკრიპტორებთან მიმართებაში განსხვავებებიც შეინიშნება. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო გულისხმობს სისტემების ჰარმონიზაციას, მაშინ როდესაც ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო გულისხმობს სისტემების ურთიერთდაკავშირებას. ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანაა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ჰარმონიზაცია ხარისხების საერთო სისტემის შემოღებით (სამსაფეხურიანი ხარისხების სიტემა). ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო კი, მეორე მხრივ, არაა კვალიფიკაციების სისტემის ან მისი ნაწილის ჰარმონიზაციის ინსტრუმენტი. ის შემუშავებულია,





როგორც მთარგმნელობითი მექანიზმი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ურთიერთკავშირს სხვადასხვა კვალიფიკაციასა და კვალიფიკაციების სისტემებს შორის”.

ბოლონის პროცესმა ევროპაში ჩამოაყალიბა უმაღლესი განათლების ახალი სამსაფეხურიანი სტრუქტურა, რომელიც ასახულია უმაღლესი განათლების ევროპულ ჩარჩოში. ის ეხება განათლების მხოლოდ ერთ ქვესისტემას.

უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) გაგება უფრო იოლია, ვინაიდან ზუსტადაა განსაზღვრული ქვესისტემის დონეები, კრედიტები, საერთო, ძირითადი კვალიფიკაციები დონეების მიხედვით, სწავლის შედეგებიც განათლების სისტემის კონტექსტისთვისაა მოცემული და პროგრესია ხორციელდება ვერტიკალზე.

ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო (EQF LLL) ღიაა ყველა კვალიფიკაციისათვის ანუ განათლების სისტემის გარეთ გაცემული კვალიფიკაციებისთვისაც. ერთიანი, 8 დონიანი ჩარჩო არაა მხოლოდ განათლების სისტემის ჩარჩო, სადაც სასწავლო გზები მკაფიოდაა დადგენილი. ეს ჩარჩო ახალი სასწავლო გზების განვითარების საშუალებას იძლევა. მაგ., როგორცაა სწავლის შედეგების საფუძველზე არაფორმალური განათლების ან მისი ნაწილის აღიარება კვალიფიკაციის (ან კრედიტის) მიღებისა და სწავლის გაგრძელების მიზნით ან განათლების სისტემის გარეთ მინიჭებული პროფესიული მომზადების კვალიფიკაციის როგორც ფორმალური განათლების აღიარება განათლების სისტემაში შესასვლელად.

### **3. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო**

#### **3.1. ჩარჩოს მიზნები**

“განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის 242-ე მუხლის მეორე პუნქტით განისაზღვრა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზნები შემდეგი სახით:



- კვალიფიკაციების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ძირითადი პრინციპების (სწავლის შედეგების შესაბამისობა, ხარისხის უზრუნველყოფა, კვალიფიკაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა) დაცვით კლასიფიცირება;
- ზოგადი განათლების, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების ურთიერთდაკავშირება, მართვა და განვითარება;
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერა;
- კვალიფიკაციების შეთავსებადობის, შესადარობისა და გამჭვირვალობის საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოფა;
- მობილობის ხელშეწყობა;
- სწავლის პერიოდში მიღებული ფორმალური განათლების აღიარების ხელშეწყობა;
- არაფორმალური განათლების აღიარების ხელშეწყობა;
- არსებული კვალიფიკაციების შესახებ საზოგადოების ინფორმირება;
- განათლების სისტემაში საზოგადოების მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების ასახვა და მათი შესაბამისი, განახლებადი კვალიფიკაციების აღწერის სტიმულირება.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს კვალიფიკაციებს ანუ კვალიფიკაციების საერთო სახელწოდებებს დონეების მითითებით და რიგ შემთხვევებში რეგულირებადი პროგრამებით მისანიჭებელი კვალიფიკაციების კონკრეტულ სახელწოდებებსაც კი. შესაბამისად, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დამატებით ახასიათებს დონეების მიხედვით კანონმდებლობით განსაზღვრული კვალიფიკაციების ზოგადი/საერთო სახელწოდებების ჩამონათვალი. დონეების მიხედვით კვალიფიკაციების საერთო სახელწოდებების ჩამონათვალი თვალსაჩინოს ხდის კვალიფიკაციისა და ჩარჩოს დონის კავშირს. (მაგ., კვალიფიკაციის საერთო სახელწოდება: ბაკალავრი, კვალიფიკაციის დონე - 6, ნიშნავს, რომ ყველა ბაკალავრი, სწავლის სფეროს მიუხედავად, ფლობს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებს).

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო არაა მხოლოდ განათლების სისტემის ჩარჩო. მასში შეიძლება აისახოს/ჩაერთოს, როგორც ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული კვალიფიკაციები, ასევე საგანმანათლებლო სისტემის გარეთ არსებული იმ იურიდიული პირების მიერ გაცემული კვალიფიკაციებიც, რომელთაც მიღებული აქვთ უფლება შრომის



ბაზრისათვის საჭირო მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელებისა და შესაბამისი კვალიფიკაციების მინიჭებაზე.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ სამართლებრივი აქტის მიღება არ ნიშნავს მის სრულ ფუნქციონირებას. ჩარჩო სრულად ფუნქციონირებადი გახდება მას შემდეგ, როცა ქვეყანაში არსებული ყველა შესაძლო კვალიფიკაცია ჩაერთვება ჩარჩოში, ანუ ყველა კვალიფიკაციის სწავლის შედეგის ჩარჩოსთან დონესთან შესაბამისობის დადგენა განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველზე და შემდგომ აისახება კვალიფიკაციის ელექტრონულ რეესტრში. რეესტრის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სახელმძღვანელოს მეოთხე თავში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველო აცნობიერებს კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის (შემდგომში-რეესტრი) მნიშვნელობას, რისთვისაც საკანონმდებლო დონეზე უკვე განისაზღვრა მისი შექმნის ვალდებულება და ადმინისტრირების წესი. პროცესის შინაარსობრივი და ტექნიკური გამართვა დელეგირებულია ცენტრზე (რომელიც არის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვაზე, განვითარებასა და მონიტორინგზე, ასევე კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნასა და ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი ორგანო) და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაზე.

ამასთან, 2020 წელს, დაძმობილების პროექტის (Twinning) ფარგლებში, მომზადდა რეესტრის ტექნიკური მახასიათებლების აღმწერი დოკუმენტი, რომელიც დაეფუძნა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ 2017 წლის 22 მაისის ევროსაბჭოს რეკომენდაციას. რეესტრი ხელმისაწვდომი იქნება ეროვნული კვალიფიკაციების სისტემით დაინტერესებული მხარეებისათვის (სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები, აბიტურიენტები, მასწავლებლები, დამსაქმებელები, კურსდამთავრებულები და სხვ). მისი მონაცემთა სტრუქტურა იქნება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისი. ამ ეტაპზე, რეესტრის შექმნის საკითხი კვლავ დღის წესრიგშია და მიმდინარეობს მისი შექმნისთვის საჭირო ფონდების მოძიება.




### 3.2. სტრუქტურა და შინაარსი (დონეები და კვალიფიკაციები)

#### სურათი 1. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო

##### ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე და დონის აღმწერები

როგორც აღინიშნა, ჩარჩო შედგება დონეებისაგან და თითოეულ დონეს მინიჭებული აქვს თანმიმდევრულად მზარდი რიცხვი (1-დან 8-ის ჩათვლით). კანონმდებლობის განმარტებით, კვალიფიკაციის დონე არის “ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტი, რომელიც აერთიანებს ცოდნითა და გაცნობიერებით, უნარებით, პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით აღწერილ, განზოგადებულ სწავლის შედეგებს - აღმწერებს”.



სწავლის შედეგების კატეგორიებად დაყოფა ეხმარება დონის აღმწერების უფრო მკაფიოდ, გასაგებად ჩამოყალიბებას. თითოეული დონის სწორად აღსაქმელად საჭიროა ამ კატეგორიების



ურთიერთკავშირიში წაკითხვა. როგორც ევროკომისიის საინფორმაციო ბროშურა, “განმარტება მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესახებ,” მიუთითებს “საკვანძო სიტყვები, შეიძლება გავიგოთ, როგორც ზღვრული დონის ინდიკატორები. ამიტომ, ერთი კონკრეტული დონის სრული გაგება მოითხოვს, როგორც “ჰორიზონტალურ, ასევე, ვერტიკალურ” წაკითხვას, სადაც გათვალისწინებულია ქვედა და ზედა დონეები” (გვ. 4).

კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო, როგორც დონეების ერთობლიობა, აღწერს სწავლის შედეგების პროგრესიას მარტივიდან რთულისკენ:

- პირველი დონე არის საწყისი და მარტივი დონე, ხოლო დონე 8 არის ყველაზე მაღალი და რთული დონე;
- სწავლის შედეგებისა და მათთან დაკავშირებული კვალიფიკაციების კომპლექსურობის დონე იზრდება თანამიმდევრულად პირველი დონიდან მერვე დონის ჩათვლით. კვალიფიკაციის დონის ზრდას პირდაპირ უკავშირდება პასუხისმგებლობისა და დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდაც.

ჩარჩოს დონის აღმწერები არის ყველაზე ზოგადი, ნეიტრალური და არ შეეხება სწავლის ან დასაქმების რომელიმე სფეროს. ჩარჩო იძლევა დონის შესაბამისი სწავლის შედეგების მინიმალურ ზღვარს და არ არის ამომწურავი. ჩარჩოს დონის აღმწერი არის საფუძველი საგანმანათლებლო სტანდარტის ან პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისათვის. დონის აღმწერების პროგრამის სწავლის შედეგებში პირდაპირ გადატანა დაუშვებელია.

ეროვნულ კვალიფიკაციის ჩარჩოს დონის აღმწერები ჩამოყალიბებულია ზოგადი ფრაზებით და ერთსა და იმავე დონეზე სხვადასხვა სახის, მათ შორის სხვადასხვა ქვესისტემის, კვალიფიკაციების განთავსების საშუალებას იძლევა.

ჩარჩოს დონეები, ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მსგავსად, 3 კატეგორიით აღიწერება:

- ცოდნა და გაცნობიერება (ამასთან, “გაცნობიერება” არის უმაღლესი განათლების ჩარჩოს - “დუბლინის დესკრიპტორის” - ელემენტი);



- უნარი;
- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სწავლის შედეგების თითოეული კატეგორიის ფარგლებში გამოიყოფა ქვეკატეგორიები ანუ ასპექტები, რომლებიც აღწერილია გარკვეული მახასიათებლებით (იხ. ცხრილი #2).

სწავლის შედეგების კატეგორიები დაკონკრეტებულია ქვესისტემების საგანმანათლებლო სტანდარტებში იმ ქვესისტემისა ან/და სწავლის/დასაქმების სფეროს მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლისთვისაც იქმნება ეს სტანდარტი. შემდგომი დაკონკრეტების საფუძველი განისაზღვრება საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების დოკუმენტით.

**ცხრილი N 2 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერის კატეგორიები**

კატეგორია	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ქვეკატეგორია / ასპექტები	თეორიული ან/და ფაქტობრივი ცოდნა და გააზრება	დავალების შესრულებისა და პრობლემის გადაჭრის უნარები  კომუნიკაციის უნარი	პასუხისმგებლობა  სწავლის უნარი
მახასიათებელი	დიაპაზონი და სიღრმე	ტიპი და სირთულე	ცოდნის და უნარის - გამოყენების კონტექსტი (გარემო)
დამხმარე კითხვები	რა ტიპისაა ცოდნა?	რა სირთულისაა შესასრულებელი დავალება და გადასაჭრელი პრობლემა?	რამდენად პროგნოზირებადია სწავლის/საქმიანობის გარემო სადაც ხდება ცოდნისა და უნარების გამოყენება?





	<p>რა დიაპაზონისა და სიღრმისაა ცოდნა ?</p> <p>რა ზომით შეუძლია პირს ამ ცოდნის კონტექსტში ჩასმა?</p>	<p>რა ტიპის კოგნიტური ან/და პრაქტიკული უნარები გამოიყენება მოცემული სირთულის დავალების შესასრულებლად და პრობლემის გადასაჭრელად ?</p> <p>რა სირთულისაა გადასაცემი ინფორმაცია: რა სახის ინფორმაციაა გადასაცემი? - ვისთვისაა განკუთვნილი ინფორმაცია( მიზნობრივი ჯგუფი)? - რა მეთოდებით გადაიცემა ინფორმაცია? - როგორია ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენების სირთულე?</p>	<p>როგორია პირის დამოუკიდებლობის ხარისხი/მისი როლი საქმიანობის პროცესში?</p> <p>რა პასუხისმგებლობები აქვს პირს საქმიანობის პროცესში? რა ხარისხით შეუძლია პირს პასუხისმგებლობის აღება საკუთარ და სხვების საქმიანობაზე?</p> <p>რამდენად შეუძლია პირს საკუთარი ან/და სხვების სწავლის/პროფესიულ განვითარება (დამოუკიდებლად და პასუხისმგებლობით)? რა მეთოდებს იყენებს ამისთვის?</p>
--	---	---	--

**ჩარჩოს დონის აღმწერების კატეგორიებისა და ასპექტების განმარტება**

- ცოდნა და გაცნობიერება**

**ცოდნა** - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზნებისათვის არის სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, კონცეფციების, პროცედურების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი.





**გაცნობიერება** არის ცოდნის კონტექსტში ჩასმის შესაძლებლობა, რაც მოიცავს ცოდნის გახსენებას, შერჩევას, იდენტიფიცირებას, ინტერპრეტირებას, კლასიფიცირებას, ახსნა-განმარტებას, შეფასებას, სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას.

ჩარჩოს აღმწერებში ცოდნისა და გაცნობიერების დიაპაზონი და სიღრმე იცვლება ერთი ან რამდენიმე მარტივი, საბაზისო ფაქტისა და პრინციპის ცოდნიდან და მარტივი ფაქტების გახსენებიდან ინტერ/მულტი-დისციპლინურ სწავლის სფეროს ღრმა ცოდნამდე და უახლესი მიღწევების სისტემურ გააზრებამდე.

- **უნარი**

**უნარი** გულისხმობს კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას და აღიწერება კოგნიტური და პრაქტიკული უნარების გაგებით. ჩარჩო მიუთითებს შემდეგ უნარებზე:

- დავალების შესასრულებლად და პრობლემის გადასაჭრელად საჭირო უნარები;
- კომუნიკაციის უნარი.

დავალების შესასრულებლად და პრობლემის გადასაჭრელად საჭირო უნარები არის შემდეგი სახის: კოგნიტური და პრაქტიკული.

- **კოგნიტური უნარები** - მოიცავს ლოგიკურ, ინტუიტიურ და კრეატიულ აზროვნებას;
- **პრაქტიკული უნარები** - მოიცავს სათანადო მეთოდების, მასალების, მოწყობილობებისა და ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას.

ჩარჩოს აღმწერებში შესასრულებელი დავალებისა და გადასაჭრელი პრობლემის მახასიათებელია სირთულე, რასაც უკავშირდება იმ უნარების სირთულე ან/და დიაპაზონი, რომელიც საჭიროა დავალების შესასრულებლად და პრობლემის გადასაჭრელად.

კოგნიტური ან/და პრაქტიკული უნარები იცვლება სტრუქტურირებული დავალების შესრულებისა და მარტივი პრობლემის გადასაჭრელად საჭირო მცირე რაოდენობის საბაზო უნარებიდან კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე კომპლექსური პრობლემების



გადაჭრისათვის ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ფართო დიაპაზონის უნარებამდე,

- **კომუნიკაციის უნარი** გულისხმობს იდეების, ინფორმაციის ეფექტურად გადაცემის შესაძლებლობას და იცვლება ინფორმაციის სირთულის ზრდის, მიზნობრივი ჯგუფისა და გადაცემის ფორმების ან/და საშუალებების შესაბამისად.

კომუნიკაციის პროცესში:

- გადასაცემი ინფორმაციის სირთულე იცვლება სტრუქტურირებული დავალების შესრულების შესახებ ინფორმაციიდან უახლეს მიღწევების შესახებ ინფორმაციამდე;
- მიზნობრივი ჯგუფების რაოდენობა და მრავალფეროვნება იცვლება არასპეციალისტებთან კომუნიკაციიდან - სამეცნიერო და პროფესიულ საზოგადოებამდე.
- ინფორმაციის გადაცემის ფორმა ან/და საშუალებები არ არის მკაფიოდ მოცემული. ჩარჩოში მითითებულია, რომ კომუნიკაციის ფორმები (ზეპირი ან წერილობითი) და ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება შესაბამეა კონტექსტს. გადაცემის ფორმა ჩვეულებრივად იცვლება მშობლიურ ენაზე სტანდარტული, მარტივი წერილობით ან/და ზეპირი შეტყობინებიდან/ანგარიშიდან, მშობლიურ და უცხო ენაზე შესრულებულ უახლეს კვლევით ნაშრომამდე ან/და განვითარების სტრატეგიულ პროექტამდე; ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების საბაზო გამოყენებიდან მათ კრეატიულ და ინოვაციურ გამოყენებამდე. აღნიშნული საკითხის შემდგომი დაკონკრეტება არის შესაბამისი ქვესისტემის საგანმანათლებლო სტანდარტების საქმე.

• **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

კანონმდებლობით, სწავლის შედეგების განმარტებაში, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა გულისხმობს ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენებას. აღნიშნული გულისხმობს სასწავლო ან სამუშაო კონტექსტში პირის მიერ პასუხისმგებლობით მოქმედებისა და საკუთარი სწავლისა და განვითარების შესაძლებლობების წარმოჩენას. და აღწერილია შემდეგის გათალისწინებით:

- პასუხისმგებლობა;



- სწავლის უნარი.

პასუხისმგებლობა ერთი მხრივ, გულისხმობს სწავლის/საქმიანობის პროცესში პირის როლთან ან პოზიციასთან დაკავშირებულ მოვალეობებს და ვალდებულებებს; მასთან მჭიდრო კავშირშია საქმიანობის განხორციელების ავტონომიურობა, თანამშრომლობა, პროფესიული ან/და აკადემიური ქცევის წესების/ეთიკის პრინციპების დაცვა.

მეორე მხრივ, პასუხისმგებლობა (როგორც მორალური პასუხისმგებლობა) მოიცავს პირის დამოკიდებულებას საკუთარი და სხვების ქმედებებისადმი; საკუთარ და სხვების ქმედებების შეფასებას; საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებების საფუძველზე მოქმედებას.

ჩარჩოში პასუხისმგებლობა აღწერილია, როგორც პროგრესია უშუალო ხელმძღვანელობით, დაბალი ხარისხის ავტონომიურობით საქმიანობიდან და მარტივი დავალების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღებიდან კვლევითი/განვითარების პროექტების ხელმძღვანელობამდე, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპებით დაცვით.

სწავლის უნარი მოიცავს პირის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების საზღვრების გააზრებისა და აღიარების შესაძლებლობას; საკუთარი საქმიანობების შესაბამისად შემდგომი სწავლის/პროფესიული განვითარების დაგეგმვას, ორგანიზებასა და განხორციელებას. მისი დიაპაზონი იცვლება უშუალო ხელმძღვანელობით სწავლიდან ახალი, ინოვაციური იდეების განვითარების ხელშეწყობამდე, ახალი ცოდნის შექმნამდე.

ჩარჩო ასევე აღწერს სწავლის ან/და საქმიანობის იმ კონტექსტს/გარემოს, სადაც ხდება ცოდნისა და უნარების გამოყენება. კონტექსტი იცვლება ნაცნობი, კარგად სტრუქტურირებული და პროგნოზირებადი გარემოდან დინამიურ გარემომდე. რაც უფრო არაპროგნოზირებადი და ცვალებადი ხდება გარემო, მით უფრო იზრდება ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ხარისხი.

ჩარჩოს დონის კომპლექსურობისა და მისი თითოეული კატეგორიის არსის გაგების მიზნით, როგორც უკვე აღინიშნა, აუცილებელია აღმწერების ჰორიზონტალური წაკითხვა და ერთიანად



გააზრება, ისევე როგორც ვერტიკალური წაკითხვა, ანუ ზედა და ქვედა დონეების გათვალისწინებაც.

### 3.3 კანონმდებლობით განსაზღვრული კვალიფიკაციები და მათი სახეები

კვალიფიკაციების ერთიანმა ეროვნულმა ჩარჩომ დაგვანახა, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ერთსა და იმავე დონეზე შეიძლება რამდენიმე კვალიფიკაცია განთავსდეს ერთი საერთო საფუძვლით, სწავლის შედეგების დონის მიხედვით. მაგალითად, ჩარჩოს მე-4 დონეზე განთავსებულია სრული ზოგადი განათლებისა და საშუალო პროფესიული განათლების კვალიფიკაციები; მე-6 დონეზე განთავსებულია ბაკალავრის კვალიფიკაცია და მასწავლებლის 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არ ანიჭებს კვალიფიკაციას და გამოიყენება დასაქმების მიზნებისთვის.

ჩარჩოს ერთსა და იმავე დონეზე შესაძლებელია არა მარტო განათლების ერთი ქვესისტემის განსხვავებული სახის კვალიფიკაციების კლასიფიცირება (მაგალითად, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციები საბაკალავრო დონეზე), არამედ სხვადასხვა ქვესისტემის კვალიფიკაციებისაც და უფრო მეტიც, განათლების სისტემის გარეთ მინიჭებული კვალიფიკაციების კლასიფიცირებაც კი. (მაგალითად, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-2 დონეზე განთავსებულია საბაზო განათლების კვალიფიკაცია და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების მეორე დონის კვალიფიკაციები, ან მე-4 დონეზე სრული ზოგადი განათლების კვალიფიკაცია, საშუალო პროფესიული განათლების კვალიფიკაცია, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების მეოთხე დონის კვალიფიკაციები. პროფესიული განათლების ფარგლებში მე-2-მე-5 დონეზე შესაძლებელია არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ფორმალური განათლების კვალიფიკაციების ფარგლებში).

იმისათვის, რომ გავარკვიოთ როგორია ერთსა და იმავე დონეზე განთავსებული სხვადასხვა კვალიფიკაციის ურთიერთკავშირი და მათი პროგრესის შესაძლებლობები, აუცილებელია კვალიფიკაციების დაჯგუფება ძირითადი მახასიათებლების მიხედვით. ასეთი ძირითადი მახასიათებელია სწავლის შედეგებზე დაფუძნებული და კრედიტებში ან ხანგრძლივობაში გამოხატული სწავლის მოცულობა/სასწავლო დატვირთვა.



### 3.3.1 კვალიფიკაციის დაჯგუფება სახეების მიხედვით

საქართველოს კანონმდებლობა ერთსა და იმავე დონეზე კვალიფიკაციებს განასხვავებს სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სასწავლო დატვირთვის მიხედვით და ზოგიერთ შემთხვევაში დამატებით ხაზს უსვამს კვალიფიკაციის სპეციფიკურ დანიშნულებას. აღნიშნულის გათვალისწინებით კვალიფიკაციები შესაძლებელია დავაჯგუფოთ შემდეგ სახეებად:

**ა) მთავარი კვალიფიკაცია** - სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სასწავლო დატვირთვა შეესაბამება კანონმდებლობით დონისათვის განსაზღვრულ სასწავლო დატვირთვას/კრედიტების რაოდენობას. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია დონის აღმწერებთან. შეუძლია პროგრესია შემდეგ დონეზე (დოქტორანტურა არის ჩარჩოს საბოლოო დონე).

**ბ) სპეციალური კვალიფიკაცია** - სპეციალური დანიშნულების კვალიფიკაცია ხასიათდება შედარებით მცირე სასწავლო დატვირთვით. სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სასწავლო დატვირთვა ჩვეულებრივად ნაკლებია მთავარი კვალიფიკაციის სასწავლო დატვირთვაზე. ამ სახის კვალიფიკაციის სწავლის შედეგები შეიძლება არ მოიცავდეს დონის აღმწერის ყველა კატეგორიას/ასპექტს და ფოკუსირებული იყოს მხოლოდ ცალკეულ ცოდნაზე ან/და უნარებზე. შემდეგ დონეზე პროგრესიის შესაძლებლობები დამოკიდებულია კვალიფიკაციის დანიშნულებაზე. (მაგალითად, ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი, სპეციალური კვალიფიკაციებია მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი, ვეტერინარის მომზადების სერტიფიკატი).

**გ) დამატებითი კვალიფიკაცია** - სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სასწავლო დატვირთვა ნაკლებია მთავარი კვალიფიკაციის სასწავლო დატვირთვაზე; ამ სახის კვალიფიკაცია, ჩვეულებრივ გულისხმობს სწავლის შედეგების განახლებასა და განვითარებას. შესაბამისად, ეს კვალიფიკაცია უკავშირდება მთავარი ან სპეციალური კვალიფიკაციის სწავლის შედეგებს. მისი უპირველესი მიზანია შრომის ბაზრისთვის საჭირო კვალიფიკაციებში გადამზადება. მაგალითად, დამატებითი (minor) სპეციალობა, რომელიც საბაკალავრო საფეხურზე, სტუდენტის მიერ არჩეული დამატებითი აკადემიური დისციპლინაა. ძირითადი სპეციალობის მსგავსად, რომლის ფარგლებშიც



კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია, არჩეული დამატებითი (minor) სპეციალობისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, როგორც წესი, აყალიბებს საჭირო კურსების ჩამონათვალს. დამატებითი (minor) სპეციალობის არჩევა ხდება კურიკულუმით გათვალისწინებული არჩევითი საგნების ნაცვლად და შესაძლებელია უკავშირდებოდეს სხვა სასწავლო დისციპლინას, რომელიც ხშირად ავსებს ძირითადს. რიგ შემთხვევებში დამატებითი სპეციალობა გამოიყენება სტუდენტის სასწავლო ინტერესების, ან კონკრეტული სპეციალიზაციის მოსაპოვებლად, დასაქმების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. მაგალითად, არცთუ იშვიათია ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დამატებითი სპეციალობა კომპიუტერულ მეცნიერებაში, ან ინჟინერიის და ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამებში დამატებითი სპეციალობა მათემატიკაში და ა.შ..

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთვის გამოწვევაა მედიცინის/სტომატოლოგიის დიპლომის შემდგომი განათლების ჩარჩოს შესაბამის დონეზე პოზიციონირების საკითხის განსაზღვრა, რადგან დიპლომის შემდგომი განათლება გულისხმობს ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირისთვის დამატებითი კომპეტენციების შექმნას შესაბამისი ვიწრო სპეციალიზაციით, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელების მიზნით.

### 3.3.2 კვალიფიკაციის სახეები ქვესისტემების მიხედვით

#### უმაღლესი განათლება

##### მთავარი კვალიფიკაცია

სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლის მოცულობა შეესაბამება კანონით დონისათვის დადგენილ კრედიტების რაოდენობას. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია დონის აღმწერებთან. კურსდამთავრებულს შეუძლია პროგრესია შემდეგ დონეზე (დოქტორანტურა არის საბოლოო, ტერმინალური დონე).

- დონე 5 - ასოცირებული ხარისხი - (პირველი საფეხურის ფარგლებში ან პირველ საფეხურთან დაკავშირებული) პირი, რომელიც გაივლის მოკლე ციკლის პროგრამას, იღებს დიპლომს (ასოცირებულ ხარისხს) რომლის საშუალებითაც შესაძლებლობა ექნება დასაქმდეს მიღებული





კვალიფიკაციის შესაბამისად ან სწავლა გააგრძელოს ბაკალავრიატში (უსდ-ს მიერ კონკრეტულ პროგრამაზე იქნება დადგენილი პირობებით). (უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად მოკლე ციკლის პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელიც აგრეთვე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე, რა დროსაც სტუდენტს ასოცირებული ხარისხი ენიჭება ამ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვებისა და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შედეგად;

ბ) ცალკე საგანმანათლებლო პროგრამის სახით და პროფესიულ სტუდენტს ასოცირებული ხარისხი მიანიჭოს შესაბამისი მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევისა და კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვების შედეგად.

**პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-10-მუხლის თანახმად, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავენ და ამტკიცებენ კოლეჯი ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა გაანგარიშდება კრედიტებით და შესაძლებელია განხორციელდეს:**

ა) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი იმ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელიც აგრეთვე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე;

ბ) ამ კანონის შესაბამისად, ცალკე საგანმანათლებლო პროგრამის სახით.

ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები დგინდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით; ხოლო „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.





- დონე 6 - ბაკალავრი 180 ან 240 ECTS
- დონე 7 - მაგისტრი 60 ან 120 ECTS
- დონე 7 - ყველა ინტეგრირებული და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა მინიმუმ 300 კრედიტის მოცულობით
- დონე 8 - დოქტორი არანაკლებ 3 წელი (სასწავლო კომპონენტი არაუმეტეს 60 კრედიტი).

### სპეციალური კვალიფიკაცია

- სასწავლო დატვირთვა ნაკლებია შესაბამისი დონისათვის კანონით დადგენილი კრედიტების რაოდენობაზე.
- სპეციფიკური, შედარებით ვიწრო მიზნის კვალიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს რეგულირებადი პროგრამების მოთხოვნების დაკმაყოფილება.
- მთავარ კვალიფიკაციასთან ერთად იძლევა შესაბამის სფეროში დასაქმების ან სწავლის გაგრძელების საშუალებას; დამოუკიდებლად არ შეუძლია პროგრესია შემდეგ დონეზე;
- დონე 6 - მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი - 60 კრედიტი (მთავარ კვალიფიკაციასთან ერთად იძლევა სწავლის გაგრძელების ან მასწავლებლის პროფესიით დასაქმების შესაძლებლობას)
- დონე 7 - ვეტერინარიის სერტიფიკატი - 60 კრედიტი (მთავარ კვალიფიკაციასთან ერთად იძლევა სწავლის გაგრძელების ან პროფესიით დასაქმების შესაძლებლობას)

### ზოგადი განათლება

#### მთავარი კვალიფიკაცია

- სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლის მოცულობა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით საფეხურისათვის/დონისათვის დადგენილ სწავლის შედეგებსა და ხანგრძლივობას;
- შეუძლია პროგრესია შემდეგ დონეზე.
- დონე 2 - საბაზო საშუალო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი;
- დონე 4 - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი.



## პროფესიული განათლება

### სრული კვალიფიკაცია

- კვალიფიკაციის სწავლის შედეგები და სასწავლო დატვირთვა შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობასა და სწავლის შედეგებს;
- შეუძლია პროგრესია შემდეგ დონეზე .
  - დონე 3 - საბაზო პროფესიული განათლების დიპლომი;
  - დონე 4 - საშუალო პროფესიული განათლების დიპლომი;
  - დონე 5 - უმაღლესი პროფესიული განათლების დიპლომი ;
  - დონე 5 - ასოცირებული ხარისხი - (უმაღლესი განათლების პირველ საფეხურთან დაკავშირებული).
- პროფესიული მომზადება და გადამზადება 2-5 დონის სერტიფიკატი
- სახელმწიფო ენის სერტიფიკატი

### სპეციალური კვალიფიკაცია

- სწავლის მოცულობა - მცირე (ევროპული ენების ჩარჩოს დონეების შესაბამისად);
  - მისი მიზანია სამოაქლაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა; პიროვნების სოციალური და პირადი სასწავლო მოთხოვნების დაკმაყოფილება;
  - შესაძლებელია პროგრესია შემდეგი დონის ენის პროგრამებზე (1- 4 დონეები). მე - 4 დონის ენის სერტიფიკატი კანონმდებლობით დადგენილი პირობებით ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა. მე-2 დონის სერტიფიკატი კანონმდებლობით დადგენილი პირობებით საბაზო პროფესიული განათლების პროგრამაზე სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა.
- დონე 1 - სახელმწიფო ენის სერტიფიკატი (A1)
  - დონე 2 - სახელმწიფო ენის სერტიფიკატი
  - დონე 3 - სახელმწიფო ენის სერტიფიკატი
  - დონე 4 - სახელმწიფო ენის სერტიფიკატი (B2)



ამდენად, ყველა მთავარი კვალიფიკაცია იძლევა კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს შემდეგ დონეზე დაშვების უფლებას. რაც შეეხება სპეციალურ და დამატებით კვალიფიკაციებს მათი შემდგომ დონეზე დაშვება დამოკიდებულია კანონმდებლობით განსაზღვრულ დამატებით პირობებზე. მაგ., პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კვალიფიკაციები პირველ რიგში ორიენტირებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, თუმცა ამ კვალიფიკაციების აღიარება შესაძლებელია (მე 3 - 5 დონეებზე) პროფესიული განათლების კვალიფიკაციების მიზნებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფორმალური განათლების აღიარების ფარგლებში.

**ცხრილი N3 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეების მიხედვით კანონმდებლობით განსაზღვრული კვალიფიკაციები**

საქართველოს განათლებისა და მომზადების ფორმალური სისტემა		
	განათლების სისტემა	პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემა
1	ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი (A1)	
2	საბაზო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი  ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი	პროფესიული მომზადების მეორე დონის სერტიფიკატი  პროფესიული გადამზადების მეორე დონის სერტიფიკატი
3	საბაზო პროფესიული განათლების დიპლომი  ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი	პროფესიული მომზადების მესამე დონის სერტიფიკატი  პროფესიული გადამზადების მესამე დონის სერტიფიკატი
4	სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი	პროფესიული მომზადების მეოთხე დონის სერტიფიკატი




	საშუალო პროფესიული განათლების დიპლომი	პროფესიული გადამზადების მეოთხე დონის სერტიფიკატი
	ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი(B2)	
5	ასოცირებული ხარისხი	პროფესიული მომზადების მეხუთე დონის სერტიფიკატი
	უმაღლესი პროფესიული განათლების დიპლომი	პროფესიული გადამზადების მეხუთე დონის სერტიფიკატი
6	ბაკალავრი	
	მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი	
7	მაგისტრი	
	დიპლომირებული მედიკოსი	
	დიპლომირებული სტომატოლოგი	
	განათლების მაგისტრი	
	ვეტერინარიის მაგისტრი	
	ვეტერინარიის მომზადების სერტიფიკატი	
8	დოქტორი	

### 3.4 კვალიფიკაციის ჩართვა ჩარჩოში და ხარისხის უზრუნველყოფა

ჩარჩოს ერთ-ერთი მიზანია კვალიფიკაციების კლასიფიცირება დონეების მიხედვით, რაც ნიშნავს ყველა კვალიფიკაციისათვის დონის დადგენას ჩარჩოს აღმწერების საფუძველზე და კვალიფიკაციის ჩარჩოს ნაწილად აღიარებას (ჩარჩოში ჩართვას).



ჩარჩოს დონის აღმწერი არის საფუძველი დონის შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისათვის და მსგავსად ამისა, კანონმდებლობით ამა თუ იმ დონისათვის



განსაზღვრული კვალიფიკაცია ანუ კვალიფიკაციის ზოგადი აღმნიშვნელი არის საფუძველი შესაბამისი დონის კონკრეტული კვალიფიკაციის სახელწოდების ჩამოყალიბებისათვის.

### როგორ ხდება პროგრამისა და მისი შესატყვისი კვალიფიკაციის ჩარჩოში ჩართვა?

ცალკეული კვალიფიკაციის სახელმწიფო აღიარება და ჩარჩოში ჩართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე პროცესების საფუძველზე და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) დაწესებულებამ უნდა განახორციელოს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების თანამიმდევრული პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებს;



ბ) დაწესებულება ვალდებულია, რომ პროგრამა და მისი შემადგენელი კომპონენტები (სასწავლო კურსი/მოდული) აღწეროს სწავლის შედეგებით და სადაც შესაძლებელია კრედიტებით (ECTS-ის ან ECVET-ის კრედიტები);

გ) პროგრამის შემუშავების ფაზაში პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, ჩარჩოს აღმწერების საფუძველზე უნდა განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების დონე ან არსებობის შემთხვევაში, განათლების შესაბამისი ქვესისტემის ფარგლებში, ჩარჩოს შესაბამისი დონისთვის შემუშავებული, საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგების საფუძველზე.

დ) პროგრამის შემუშავებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ან განათლების სისტემის გარეთ არსებულმა ნებისმიერმა იურიდიულმა პირმა უნდა მიმართოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს კონკრეტული პროგრამის განხორციელებისა და მისი შესაბამისი კვალიფიკაციის გაცემის უფლების მისაღებად.

როგორც ცნობილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აღნიშნული მიზნებისთვის გადიან ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებს, რომლებსაც ახორციელებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)).

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შიდა და გარე მექანიზმების საშუალებით. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს აყალიბებენ და ახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. მათი განხორციელება სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფუნქციაა.

პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელება და შესაბამისი კვალიფიკაციების მინიჭების უფლების მიღება უნდა დაემყაროს ხარისხის უზრუნველყოფას და შესაბამისობაში უნდა იყოს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეოთხე დანართით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებთან. უფლების გამცემი ორგანიზაცია განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით.



ე) გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურა, რომელსაც ეფუძნება უფლების გაცემა მოიცავს ქვემოაღნიშნულ ეტაპებს.

**ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტული პროცედურა მოიცავს 4 ეტაპს:**

- განაცხადის წარდგენა;
- გარე შეფასება;
- გადაწყვეტილების მიღება;
- პროცესის გაგრძელება (Follow-up) გაგებას;

ვ) ხარისხის უზრუნველყოფა “გარე შეფასების” ეტაპზე, ამოწმებს პროგრამის სწავლის შედეგების დადგენილი დონის სისწორეს ანუ შეისწავლის შეესაბამება თუ არა განმცხადებლის მიერ წარდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები კვალიფიკაციის ჩარჩოს იმ დონეს, რომელიც პროგრამითაა დადგენილი. შემოწმების მეთოდოლოგია ძირითადად შეესაბამება დონის დადგენის მეთოდოლოგიას, (შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია სახელმძღვანელოს მეექვსე თავში).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დონის დადგენის მეთოდოლოგიას განსაზღვრავს პროფესიული უნარების სააგენტო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებისას სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ სწავლის შედეგებს.

ზ) გარე ხარისხის უზრუნველყოფის წარმატებით დასრულების შემდეგ, კონკრეტული დაწესებულების კონკრეტული პროგრამები და შესაბამისი ინდივიდუალური კვალიფიკაციები ხდება ჩარჩოს ნაწილი და აისახება კვალიფიკაციების საჯარო ელექტრონულ რეესტრში (რეესტრის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სახელმძღვანელოს მეოთხე თავში).





## 4. კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრი

კვალიფიკაციების რეესტრი არის კვალიფიკაციების გამჭვირვალობისა და მათი მნიშვნელობის/არსის გაგების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც ყველასათვის თვალსაჩინოს ხდის ჩარჩოს, მასში ჩართულ კვალიფიკაციებსა და მათ ურთიერთკავშირს. ის იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას უმაღლესი განათლების, პროფესიული განათლებისა და პროფესიული მომზადებისა და გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესახებ.

### კვალიფიკაციების რეესტრის მიზანია:

- უზრუნველყოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში ჩართული კვალიფიკაციების საჯაროობა;
- ხელი შეუწყოს როგორც კვალიფიკაციების შინაარსის, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს გაგებას;
- დაეხმაროს სტუდენტებს, მოსწავლეებს მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება სასურველი კვალიფიკაციისა და სასწავლო გზების შესახებ;
- დაეხმაროს დამსაქმებლებს საქმიანობისათვის საჭირო კვალიფიკაციების განსაზღვრაში, ასევე თავისი დასაქმებულებისათვის რელევანტური მომზადების ან/და გადამზადების პროგრამების შერჩევაში;
- ხელი შეუწყოს კვალიფიკაციების აღიარებას საზღვარგარეთ საქართველოში მინიჭებული კვალიფიკაციის შესახებ სრულყოფილი და სანდო ინგლისურენოვანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობით (განსაკუთრებით ENIC-NARIC-ის ქსელის მეშვეობით).

საჯაროდ ხელმისაწვდომი ელექტრონული რეესტრის გარეშე რთულია საზოგადოებისათვის კვალიფიკაციების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება და ზოგჯერ შეუძლებელი ან უკიდურესად შრომატევადია სხვადასხვა დაინტერესებული პირების მიერ კვალიფიკაციების შესწავლა-შედარება მათთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.



მაგალითად, მოსწავლეების, სტუდენტებისა და მშობლებისათვის მნიშვნელოვანია სრულყოფილი ინფორმაციის მიღება განათლების მიღების, შესაძლო სასწავლო გზებისა თუ კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ; დამსაქმებლებისათვის მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილისთვის შესაბამისი შინაარსისა და დონის კვალიფიკაციების განსაზღვრა.

ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებულია საკმარისი, საიმედო, განახლებული და შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

#### 4.1. რეესტრის სტრუქტურა და ინფორმაცია

კვალიფიკაციების ელექტრონულ რეესტრში მოცემული ინფორმაცია ეფუძნება ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ევროპის საბჭოს 2017/C 189/03. რეკომენდაციის მეექვსე დანართის პირობებს და ასევე ითვალისწინებს პროფესიული განათლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების და ასევე უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების თავისებურებებს. ელექტრონული რეესტრი ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში და მოიცავს კვალიფიკაციასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას;

სხვადასხვა ქვესისტემის კვალიფიკაციებისათვის განსაზღვრულია სხვადასხვა სავალდებულო და არჩევითი ველები.

##### ა) ინფორმაცია ყველა კვალიფიკაციისათვის:

1. პროგრამის სახელწოდება\*<sup>1</sup>
2. კვალიფიკაციის სახელწოდება\*
3. სწავლის სფერო - ISCED-F-2013-ის მიხედვით\*
4. ქვეყანა (კოდი ISO- მხოლოდ ინგლისურ ფორმაში)\*

<sup>1</sup>\* ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ევროპის საბჭოს 2017/C 189/03. რეკომენდაციის მეექვსე დანართის პირობებების შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო ველები (ეროვნულ დონეზე შესაძლებელია განსხვავდებოდეს სავალდებულო ველების ჩამონათვალი)



5. კვალიფიკაციის დონე (NQF-ის დონე)\*

6. კვალიფიკაციის აღწერა:\*

6.1 სწავლის შედეგები

- ცოდნა და გაცნობიერება
- უნარი
- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

ან

6.2. ტექსტის სახით აღიწერება მოსწავლის/სტუდენტის მოლოდინი თუ რა ეცოდინებას რას გაცნობიერებს და რისი გაკეთება შეეძლება სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ.

7. კვალიფიკაციის გამცემი დაწესებულება და მისი მისამართი ვებგვერდის მითითებით\*

8. კრედიტები (ECTS ან ECVET), სადაც შესაძლებელია

9. კვალიფიკაციის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა

10. კვალიფიკაციის გარე ხარისხის უზრუნველყოფა

- ხარისხის უზრუნველყოფის განმახორციელებელი ორგანიზაცია
- მისამართი, მათ შორის ვებგვერდი

11. ავტორიზაციის/აკრედიტაციის მიღების თარიღი და ვადა

12. დამატებითი ინფორმაცია კვალიფიკაციის შესახებ

13. დამატებითი ინფორმაციის წყარო

14. კვალიფიკაციის URL-ი

15. კვალიფიკაციაზე დაშვება და მიღება

16. კვალიფიკაციის მიღების გზები

17. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

18. კვალიფიკაციის ვალიდურობის ვადა (პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამებისათვის)

19. კვალიფიკაციის შესაბამისი დასაქმების სფეროები (ISCO-08 მიხედვით, პროფესიული განათლების, მომზადებისა და გადამზადების კვალიფიკაციებისათვის)

## **ბ) ინფორმაციის ასახვა რეესტრში**

კვალიფიკაციების რეესტრში კვალიფიკაციების შესახებ ინფორმაცია აისახება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების გავლისა და



საგანმანათლებლო დაწესებულების ან სხვა იურიდიული პირის მიერ კონკრეტული კვალიფიკაციის გაცემის/მინიჭების უფლების მოპოვების შემდეგ. სწავლის სფეროების კლასიფიკატორში სწავლის სფეროს დამატებისთანავე, ცვლილება აისახება კვალიფიკაციების ელექტრონულ რეესტრში.

კვალიფიკაციის რეესტრში კვალიფიკაციის რეგისტრაციის პროცედურა დადგენილია მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის N103 ბრძანებით “ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ. გარე ხარისხის უზრუნველყოფის საფუძველზე კვალიფიკაციების რეგისტრაციას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

სწავლის სფეროების კლასიფიკატორი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან ერთად კვალიფიკაციების ეროვნული რეესტრის ძირითადი სახელმძღვანელო ინსტრუმენტებია. აღნიშნულ დოკუმენტებში ასახული ცვლილებები აისახება რეესტრში.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №666/ი ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესით რეგულირდება კლასიფიკატორის მართვა და განვითარება. აღნიშნული გულისხმობს კლასიფიკატორის სტრუქტურისა და შინაარსის განვითარებას, რაც ხორციელდება კლასიფიკატორით გათვალისწინებული უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამისი ზოგადი აღმნიშვნელის ან/და უმაღლეს განათლებაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელების ცვლილებით ან/და კლასიფიკატორის დეტალურ სფეროში: სწავლის სფეროს დამატებით, შეცვლით, ამოღებით, გაერთიანებით, გაყოფით, ტექნიკური ხასიათის ცვლილებით, ტექნიკური უზუსტობის გასწორებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კლასიფიკატორის განვითარების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს: ა) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის/პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავება/განვითარება/გაუქმება ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან კვალიფიკაციის ამოღება; ბ) კლასიფიკატორის



მონიტორინგის შედეგი; გ) გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) („განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCED-F-2013) ან/და „განათლებისა და ტრენინგის დეტალური სფეროების აღწერის“ (ISCED-FoET-2013) დოკუმენტებში განხორციელებული ცვლილება (რამაც აგრეთვე, შესაძლოა გამოიწვიოს კლასიფიკატორის ფართო და ვიწრო სფეროების ცვლილებაც). კლასიფიკატორის განვითარების საფუძველს ასევე შესაძლოა წარმოადგენდეს დაინტერესებული პირის ინიციატივა ისეთი სწავლის სფეროს დამატებასთან დაკავშირებით, რომელიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტებით („განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCED-F-2013) ან/და „განათლებისა და ტრენინგის დეტალური სფეროების აღწერის“ (ISCED-FoET-2013)) და რომლის მიზანია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

კლასიფიკატორის განვითარების ერთ-ერთ საფუძველს შესაძლებელია გახდეს შესაბამის დეტალურ სფეროში უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავება, „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანების თანახმად უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ინიცირება შეუძლია ცენტრს ან გარე ინიციატორს<sup>2</sup>, . აღნიშნული მიზნებით იქმნება უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოები სფეროს სპეციალისტების (აკადემიური საზოგადოება, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, დასაქმების ბაზრის წარმომადგენლები) ჩართულობით, რომლებიც შეიმუშავებენ უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს შესაბამისი ფართო, ვიწრო ან დეტალური სფეროს მიხედვით. დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად

<sup>2</sup> პროფესიული კვალიფიკაციების შემთხვევაში ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ან გარე ინიციატორს-აღნიშნული სცდება 476/ი ბრძანების რეგულირების ფარგლებს.



აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმუმს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლის, შეფასების მიდგომებს, რესურსებს და სხვა არსებით მახასიათებლებს.

## 4.2. ჩარჩოს მართვა განვითარება და მონიტორინგი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, როგორც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტის სწორად გამოყენების და ასევე შემდგომი განვითარების მიზნით სჭირდება მართვის ეფექტური და მოქნილი მექანიზმების შემუშავება და დანერგვა. ამასთან, გასათვალისწინებელია რომ კვალიფიკაციები და მათი სტრუქტურა იცვლება დროთა განმავლობაში.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის 2020 წლის 1 ოქტომბრის № 103/ნ ბრძანებით რეგულირდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვა, განვითარება, მონიტორინგი.

### 4.2.1. ჩარჩოს მართვა და განვითარება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვაზე უფლებამოსილ ორგანოდ განსაზღვრულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი.

ჩარჩოს მართვა და განვითარება შეეხება ისეთ საკითხებს როგორცაა:

- ა) ჩარჩოს სტრუქტურისა და შინაარსის შემდგომი განვითარება;
- ბ) სწავლის შედეგებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და შესაბამისი კვალიფიკაციების შემუშავების ხელშეწყობა;
- გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცი(ებ)ის ელექტრონულ რეესტრში შეტანა, რითაც დასტურდება მისი ჩარჩოს ნაწილად აღიარება (ჩარჩოში ჩართვა);
- დ) საზოგადოების ინფორმირებას, მათ შორის, საერთაშორისო დონეზე არსებული კვალიფიკაციების შესახებ;
- ე) უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (QF-EHEA) ან/და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან (EQF-LLL)





თავსებადობის დადგენის მიზნით, თვითშეფასების დოკუმენტის შემუშავებას დადგენილი კრიტერიუმებისა და პროცედურების დაცვით.

ჩარჩოს მართვის უპირველესი ამოცანაა სწავლის შედეგების მიდგომის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა და გამოიხატება საგანმანათლებლო სტანდარტებისა და დარგობრივი დოკუმენტების შემდგომი განვითარების მხარდაჭერაში.

ჩარჩოს მართვის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია გამჭვირვალობა და დაინტერესებული მხარის ჩართულობა რაც გამოიხატება შემდეგში:

- საგანმანათლებლო სტანდარტებისა და დარგობრივი დოკუმენტების შემუშავება-განვითარების მიზნით სამუშაო ჯგუფების დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შექმნა;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულირებადი პროფესიებისათვის რეგულირებადი პროგრამების დარგობრივი დოკუმენტების შემუშავების პროცესის მარეგულირებელ ორგანოებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით წარმართვა;
- პროფესიული განათლებისა და მომზადების კვალიფიკაციების განვითარების ჯაჭვში სექტორული/პროფესიული საბჭოების აქტიური ჩართულობა. რაც გამოიხატება შემდეგში:
- პროფესიული სტანდარტების შემუშავება და განახლება;
- პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლების ინიცირება განახლებული პროფესიული სტანდარტის საფუძველზე და მასში მონაწილეობა;
- პროფესიული განათლების/კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფაში მონაწილეობა.

#### 4.2.2. ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს მონიტორინგი

ჩარჩოს დანერგვისა და შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია მისი მონიტორინგი. ჩარჩოს მონიტორინგი ხორციელდება 5 წელიწადში ერთხელ. მონიტორინგის მიზანია



პერიოდული ანალიზის საფუძველზე ჩარჩოს შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, რომელიც უკავშირდება ჩარჩოს მიზნებს, ჩარჩოს დონის აღმწერებს, ტერმინოლოგიას, კვალიფიკაციებს, კვალიფიკაციების შესაბამისი პროგრამების შემუშავებას და კვალიფიკაციების გამჭვირვალობას.

მონიტორინგის განხორციელებისას შესწავლილ უნდა იქნას მიღწეული პროგრესი, დადგინდეს არსებული ხარვეზები, პრობლემები და შემუშავდეს შესაბამისი რეკომენდაციები.

მონიტორინგის პროცესში განიხილება ჩარჩოსთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები. ასევე განიხილება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სტრუქტურა ძირითადი ელემენტები. ფაქტორები რომლებიც გავლენას ახდენენ ახალი კვალიფიკაციების განვითარებაზე ან დონის აღმწერების ცვლილებაზე. კვალიფიკაციების რეესტრის ფუნქციონირება და სხვა; მაგალითად, მონიტორინგმა პასუხი უნდა გასცეს შემდეგი სახის კითხვებს:

- კვლავ ადეკვატურად ასახავენ თუ არა დონის აღმწერები სწავლის ან/და დასაქმების სფეროების მოთხოვნებს;
- ჩარჩოს დონეების რაოდენობა შეესაბამება თუ არა ქვეყანაში არსებული კვალიფიკაციების მრავალფეროვნებას;
- ხომ არ არის ახალი ტიპის კვალიფიკაციების შემოღება აუცილებელი? ან რამდენად შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრული კვალიფიკაციები ქვეყნის წინაშე მდგარ მოთხოვნებს.

მონიტორინგის შედეგად, შესაძლებელია დონის აღმწერების ცვლილებისა და მასში ახალი მოთხოვნების ასახვის საკითხის დასმა. მონიტორინგის საფუძველზე მუშავდება ჩარჩოს შემდგომი განვითარების გეგმა.

ჩარჩოს მონიტორინგის გეგმა განიხილება და თანხმდება ცენტრის დებულებით განსაზღვრულ მართვის ორგანოსთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების მიზნით შექმნილ მრჩეველთა საბჭოსთან.



ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე დგინდება მონიტორინგის განხორციელების წესი და პირობები, მათ შორის, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებისაგან შემდგარი ჯგუფის ჩამოყალიბების საკითხი.

მონიტორინგის საფუძველზე, ჩარჩოს შემდგომი განვითარების მიზნით, შემუშავდება ჩარჩოს განვითარების აქტივობები, რომელიც აისახება ცენტრის სამოქმედო გეგმაში.

### 4.2.3. მრჩევლთა საბჭო

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების დანერგვისა და შემდგომი განვითარების მიზნით ცენტრის დირექტორის ბრძანებით შექმნილია კოლეგიალური ორგანო - მრჩევლთა საბჭო, რომლის ძირითადი დანიშნულებაა კვალიფიკაციების სისტემასთან დაკავშირებული ძირითადი სტრატეგიული საკითხების შესახებ რეკომენდაციების მომზადება და შეთანხმება.

მრჩევლთა საბჭოს ძირითადი ფუნქციებია რეკომენდაციების მომზადება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

- ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვასა და განვითარებასთან დაკავშირებული ცენტრის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
- ცენტრის წლიური სამოქმედო გეგმის აქტივობების განსაზღვრა;
- ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში;
- ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების შესახებ მონიტორინგის გეგმის ანგარიში;
- ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვასა და განვითარებასთან დაკავშირებული მეთოდური სახელმძღვანელო დოკუმენტები;
- ჩარჩოსა და კლასიფიკატორის დანერგვისა და განვითარების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირების გაზრდა.



მრჩველთა საბჭო წარმომადგენლობითი ორგანოა და დაკომპლექტებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. კერძოდ, მასში შედიან სისტემურ დონეზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების წარმომადგენლები (შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლები), ცენტრის მიერ წარდგენილი პირები, სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელი, საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს წარმომადგენელი და საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის წარმომადგენელი. საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 6 წლის ვადით. მრჩველთა საბჭოს გადაწყვეტილებებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. ცენტრის დირექტორის რეზოლუციით, საბჭოს რეკომენდაციები განთავსდება ცენტრის ვებგვერდზე.

## **5. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერებთან უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების ან/და შესაბამისობის განსაზღვრა**

### **5.1. რეკომენდაციები ჩარჩოს თითოეული დონის აღმწერების შესაბამისი სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისთვის.**

კვალიფიკაციასთან დაკავშირებული ცოდნა, უნარები ან/და ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის სირთულის ხარისხი აღიწერება უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით/საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებით.

ჩარჩოს თითოეული დონის კომპლექსურობისა და მისი თითოეული კატეგორიის გაგების მიზნით, აუცილებელია ამ კატეგორიების ურთიერთკავშირში წაკითხვა, როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად.

#### **5.1.1. სწავლის შედეგების ჩამოყალიბება სხვადასხვა მიზნებისთვის**



სწავლის შედეგები განისაზღვრება სხვადასხვა, მათ შორის ჩარჩოს, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით. შესაბამისად განსხვავდება მათი დეტალიზაციის ხარისხიც.

ჩარჩოს აღმწერები/სწავლის შედეგები არის ზოგადი, ნეიტრალური და არ უკავშირდება სწავლის ან დასაქმების არცერთ სფეროს. აღმწერებით განსაზღვრული შედეგები არ არის ამომწურავი, ჩარჩო შესაბამისი დონისთვის იძლევა სწავლის შედეგების მინიმალურ ზღვარს. მისი მიზანია სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა, საერთაშორისო დონეზე სწავლის შედეგების აღიარების ხელშეწყობა, კვალიფიკაციებისადმი ნდობის ამაღლება, ხარისხის უზრუნველყოფის მხარდაჭერა.

ჩარჩოს დონის აღმწერების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში გადატანა შესაბამისი დეტალური სფეროს თავისებურებების გათვალისწინებისა და მათზე მორგების გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ჩარჩოს დონის აღმწერი არის საფუძველი დარგობრივი მახასიათებლის ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისათვის.

ჩარჩოს აღმწერები ჩამოყალიბებულია კონკრეტული საგანმანათლებლო საფეხურისთვის, არის ზოგადი და არ უკავშირდება სწავლის ან დასაქმების რომელიმე კონკრეტულ სფეროს, ხოლო დარგობრივ მახასიათებელში აღწერილი სწავლის შედეგები უფრო კონკრეტულია, თუმცა არა ამომწურავი და უკავშირდება სწავლის/დასაქმების სფეროს.

მაგალითად, თუ განვიხილავთ ჩარჩოს მე - 6 დონისთვის განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, ამ შედეგში განსაზღვრულია უმაღლესი განათლების 1-ლი საფეხურის (ბაკალავრიატი) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირების მინიმალური სწავლის შედეგები სწავლებისა და დასაქმების სფეროს დაკონკრეტების გარეშე.

დარგობრივი მახასიათებელი აწესებს სწავლის შედეგების მინიმალურ სტანდარტს სწავლის სფეროების ეროვნული კლასიფიკატორით განსაზღვრულ ფართო ვიწრო ან დეტალურ სფეროში.



დარგობრივი მახასიათებლის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებასა და განხორციელების პროცესს და იმავდროულად უზრუნველყოს სწავლის სფეროს/დარგის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობა და მრავალფეროვნება.

დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ მინიმალურ სწავლის შედეგებს, რომელიც უნდა ჰქონდეს შესაბამისი დონისა და სწავლის სფეროს/დარგის კვალიფიკაციის მფლობელს, თუმცა არ ამოწურავს ამ სფეროსთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, რაც ნიშნავს, რომ პროგრამის განამხორციელებელს შეუძლია დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულთან ერთად სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა განსაზღვრავს სწავლისა და დასაქმების კონკრეტული სფეროს შესაბამის სწავლის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი კომპონენტების დონეზე სწავლის შედეგი უნდა იყოს სწავლის სფეროს შესაბამისი, კონკრეტული, მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი.

საგანმანათლებლო პროგრამასა და მის კომპონენტებში ჩარჩოს დონის აღმწერების კატეგორიებზე განსხვავებული აქცენტების გაკეთება დამოკიდებულია სწავლის სფეროზე და საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურზე/დონეზე მიზნებსა და შინაარსზე. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში სავალდებულოა ცოდნისა და გაცნობიერების, უნარისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგების ასახვა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პროგრამა შესაძლოა კურსდამთავრებულს უვითარებდეს ღირებულებებს/დამოკიდებულებებს, რომლებიც არ ექვემდებარება გაზომვას, ამიტომ მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტში აისახოს მხოლოდ გაზომვადი სწავლის შედეგები (მათ შორის ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ნაწილში).



VI დონე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო	უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
<b>ცოდნა-გაცნობიერება</b>	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს.	განიხილავს საკუთარი ქვეყნის ისტორიას მსოფლიო ისტორიულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესების კონტექსტში.	განიხილავს საქართველოს ისტორიას კავკასიის რეგიონის და მსოფლიოს იმ ცივილიზაციათა ისტორიულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესების კონტექსტში, რომელთაგანაც საქართველო ისტორიულად იყო დაკავშირებული. ადარებს ერთმანეთს საქართველოს და სხვა ქვეყნებისა და ხალხების კულტურულ დირებულებებსა და მსოფლმხედველობრივ თავისებურებებს
<b>უნარი</b>	კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად	არქეოლოგიურ მონაცემების მოპოვებისას იყენებს დარგისთვის სპეციფიკურ უნარებს (საკვლევი ობიექტის მოძიების, ჩაწერის/ჩახატვის, სავლე მუშაობის, სავლე ჩანაწერების გაკეთების, გათხრების წარმოების, მოპოვებული მასალების გაზომვის, ანალიზის, ზოგიერთი არქეომეტრიული მეთოდების გამოყენების, ინტერპრეტირებისა და დაარქივების) წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;	წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად, ამზადებს ველს არქეოლოგიური გათხრებისათვის და ახდენს კულტურული ფენის ფიქსაციას, პრეპარაციას, ჩახატვასა და ფოტოგრაფირებას; ახდენს გათხრების დროს მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კამერალურ დამუშავებას, მათ გაწმენდას, აღწერას, ფოტოგადაღებას და ა. შ. ახდენს აღრიცხვით არტეფაქტების შესაბამისი მუზეუმის საცავში ჩაბარებას და სხვ.;
<b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b>	საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება. საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა.	ზრუნავს თავის აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამქავე დაამოუკიდებლად სწავლის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს;	ახდენს თავისი პროფესიული ცოდნის პერმანენტულ განახლებას, არსებული უნარჩვევების დახვეწასა და ახალი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება - განვითარებას; თავად გეგმავს თავისი შემდგომი პიროვნული და პროფესიული განვითარების გზას; დაამოუკიდებლად და ეფექტურად მართავს თავის დროსა და რესურსებს;

### 5.1.2. დარგობრივ მახასიათებელში სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შესაბამისობის განსაზღვრა კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერთან

დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებისას გასათვალისწინებელია მისი დანიშნულება და ის ფაქტი რომ ის არის შუალედური დოკუმენტი, რომელიც აკავშირებს საგანმანათლებლო პროგრამასა და ჩარჩოს დონის აღმწერებს. ის არის ჩარჩოს აღმწერზე კონკრეტული, შესაბამის სწავლის/დასაქმების სფეროზე ორიენტირებული, მაგრამ იმავდროულად საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებასა და მოქნილობის საშუალებას იძლევა. დარგობრივ მახასიათებელში სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პირობები და წესი ითვალისწინებს კონკრეტული დეტალური სფეროს შესაბამისი პროგრამების ინდივიდუალურობისა და თავისებურების წარმოჩენის შესაძლებლობას.

დარგობრივი მახასიათებლის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ზოგად პრინციპებს:

- ა) სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას ყოველთვის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ის ფაქტი, რომ შედეგები იწერება სტუდენტის პერსპექტივიდან ანუ ესაა განაცხადი იმის შესახებ თუ რა იცის, რას იგებს და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესაბამისი ხარისხით რისი გაკეთება უძლია სტუდენტს, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, რაც ნიშნავს, რომ დარგობრივმა მახასიათებელმა უნდა გადმოსცეს ის მინიმალური და ზოგადი სწავლის შედეგები, რაც ახასიათებს შესაბამისი დონისა და სწავლის სფეროს კვალიფიკაციას.
- ბ) სწავლის შედეგი ყალიბდება ჩარჩოს დონის აღმწერის გათვალისწინებით, სწავლის სფეროს შესაბამისად, მაგრამ არ არის ზედმეტად დეტალური;
- გ) სწავლის შედეგები არის თანამიმდევრული;
- დ) თითოეული სწავლის შედეგი დაკავშირებულია შესაბამის სწავლება - სწავლისა და შეფასების მეთოდებთან;
- ე) სწავლის შედეგი ყალიბდება აწმყო დროში, აქტიურ ზმნის/ზმნების გამოყენებით;
- ვ) სწავლის შედეგების ბლუმის ტაქსონომიის ზმნებით ჩამოყალიბებისას გამოიყენება შემეცნებითი, ქცევითი და ემოციური დომენების ტაქსონომიები და შესაბამისი ზმნები (დანართი 1). დანართში მოცემული ზმნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.



**!!! შენიშვნა:** დაუშვებელია დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების უცვლელი სახით გადატანა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში.

### 5.1.3. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების ზოგადი პრინციპები და წესები

სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას ყოველთვის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ის ფაქტი, რომ შედეგები იწერება სტუდენტის პერსპექტივიდან, ანუ ესაა განაცხადი იმის შესახებ თუ რა იცის, რას იგებს და რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს სწავლის (პროგრამისა და მისი ცალკეული კომპონენტების) დასრულების შემდეგ.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას საჭიროა საერთოდ მიღებული პრინციპების გათვალისწინება. ეს პრინციპები გვხვდება სხვადასხვა ევროპულ დოკუმენტებში, როგორცაა „კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS-ის) სახელმძღვანელო“, “ევროპასის” დიპლომის და სერტიფიკატის დანართის ინსტრუქციები. კერძოდ:

- ა) სწავლის შედეგი შეესაბამება საფეხურის დონეს, კვალიფიკაციის ბუნებას, შინაარსსა და თავისებურებას, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს, პროგრამის შინაარსს, დარგობრივ მახასიათებლის სწავლის შედეგებს (არსებობის შემთხვევაში) და არის კონკრეტული (ჩარჩოს აღმწერების ზოგადი ხასიათისაგან განსხვავებით), მაგრამ არ არის ძალიან დეტალური;
- ბ) სწავლის შედეგები არის თანამიმდევრული;
- გ) სწავლის შედეგის დონე განისაზღვრება პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონის შესაბამისად;
- დ) თითოეული შედეგი არის მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი პროგრამით განსაზღვრულ პერიოდში. შესაბამისად, თითოეული სწავლის შედეგი დაკავშირებულია



შესაბამის სწავლება - სწავლისა და კვლევით კომპონენტზე მუშაობის აქტივობებთან, შეფასების მეთოდებთან და კრიტერიუმებთან;

ე) სწავლის შედეგების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა არის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ნაწილი. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობა უმაღლეს განათლებაში ECTS-ის სახელმძღვანელოს რეკომენდაციით არის 10-12 შედეგი;

ვ) სწავლის შედეგები ყალიბდება აწმყო დროში.

სწავლის შედეგის ჩამოყალიბებისას სასურველია გამოყენებულ იქნეს აქტიური ზმნები, რომლებიც მიუთითებენ თუ რა იცის, რას იგებს ან რას აკეთებს პირი პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესაბამისი ხარისხით სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ;

სწავლის შედეგის ჩამოყალიბებისას უნდა მიეთითოს თუ რას ეხება ეს შედეგი. მაგალითად, სიტყვა/სიტყვები, რომლებიც მიუთითებენ რაზე ან რითი მოქმედებს პირი;

ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოიყენება შემეცნებითი, ქცევითი და ემოციური დომენების შესაბამისი აქტიური ზმნები (დანართი 1). ამასთან, დანართში მოცემული ზმნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. სწავლის შედეგების სამი კატეგორია სამ დომენზე ნაწილდება:

- ცოდნა და გაცნობიერება - შემეცნებითი დომენი
- უნარი (კოგნიტური და პრაქტიკული უნარები) - შემეცნებითი და ქცევითი დომენი
- პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა: ემოციური დომენი და შემეცნებითი დომენი

#### **5.1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩარჩოს აღმწერებთან შესაბამისობის განსაზღვრა**

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების კვალიფიკაციების ჩარჩოს დონის აღმწერთან შესაბამისობის დადგენისათვის საჭიროა შემდეგი სამი ურთიერთდაკავშირებული საკითხის განხილვა:



- სწავლის შედეგები;
- სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
- სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩარჩოს დონის აღმწერთან ან დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობის დადგენისას უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სფეროს თავისებურებები და ქვემოთჩამოთვლილი პირობები:

- სწავლის შედეგების ჩამოყალიბება ეფუძნება ამ თავში მოცემულ ზოგად პრინციპებსა და წესებს;
- თითოეული შედეგი განიხილება, როგორც დამოუკიდებლად ისე დანარჩენ შედეგებთან კავშირში, რათა ხელი შეუწყოს დონის კომპლექსურობის გაგებას;
- სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, აუცილებელია ასევე ჩარჩოს ზედა და ქვედა დონეების აღმწერების გაანალიზება;
- საგანმანათლებლო პროგრამაში, დარგობრივ მახასიათებელში და კვალიფიკაციების ჩარჩოში გამოყენებული ტერმინების კონცეპტუალური გაგება უნდა იყოს ურთიერთშესატყვისი.
- გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჩარჩოს აღმწერები არა არის ამომწურავი და საგანმანათლებლო პროგრამა სწავლის/დასაქმების სფეროს მიზნებიდან გამომდინარე შესაძლებელია, ითვალისწინებდეს უფრო მეტ/მრავალფეროვან უნარებს ვიდრე ეს აღმწერებშია მოცემული.
- დაუშვებელია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებდეს პროგრამისთვის განსაზღვრულ დონეზე უფრო მაღალი დონის სწავლის შედეგებს.



## 6. გამოყენებული ლიტერატურა და სასარგებლო ბმულები

1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ
2. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ
3. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ
4. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ
5. კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა - სახელმძღვანელო [http://erasmusplus.org.ge/files/files/ECTS\\_Users%27\\_Guide\\_ge.pdf](http://erasmusplus.org.ge/files/files/ECTS_Users%27_Guide_ge.pdf)
6. „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანება <https://eqe.ge/res/NewFolder%204/NewFolder%201/NewFolder/N476%E1%83%98%20%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20%28%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%29.pdf>
7. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №666/ი ბრძანება. <https://eqe.ge/res/NewFolder%204/NewFolder%201/N666%E1%83%98%20%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20%28%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%29.pdf>
8. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 1 ოქტომბრის N 103/ნ ბრძანება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ.
9. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ.





## დანართი N1. ბლუმის ტაქსონომიის ზმნები

ბლუმის ტაქსონომიის ზმნები					
დამახსოვრება	გაცნობიერება	გამოყენება	განალიზება	შეფასება	შექმნა
ციტირებს	ამატებს	იყენებს	აანალიზებს	მსჯელობს	ახდენს აბსტრაგრებას
განსაზღვრავს	აახლოვებს	ადაპტირებას ახდენს	ამოწმებს	აფასებს (შეფასება/დაფასება)	თანმიმდევრობით ალაგებს
აღწერს	აყალიბებს	გამოყოფს	გეგმავს	ადარებს	კრებს
ხატავს	ახდენს ასოცირებას/უკავშირებს	აღგენს	შლის	ასკვნის	კატეგორიებად ყოფს
ჩამოთვლის	ახასიათებს	იძენს	აწყობს	აპირისპირებს	ახდენს კომბინირებას
იდენტიფიცირებას ახდენს	აზუსტებს	მართავს	აღწერს	ურჩევს	ახდენს კომპილირებას
განსაზღვრავს	ახდენს კლასიფიცირებას	ანაწილებს	ახდენს კლასიფიცირებას	აკრიტიკებს	ქმნის
მიუთითებს	ადარებს	აღწევს	ადარებს	იცავს	აგებს
ასახელებს	გამოითვლის	ირიღებს	ადასტურებს	განსაზღვრავს	უმკლავდება
შეუსაბამებს	ასხვავებს	აღადგენს	აპირისპირებს	გამოარჩევს/განასხვავებს	შეუსაბამებს
აკავშირებს	ცვლის	ანგარიშობს	აკავშირებს	ხსნის	გამოსახავს
მოიხმობს	იცავს	აღბეჭდავს	გამოავლენს	ინტერპრეტირებას ახდენს	შეიმუშავებს
იხსენებს	განსაზღვრავს	ცვლის	ახდენს დიაგნოსტიკას	მსჯელობს	ავითარებს
ამოიცნობს	დეტალურად აღწერს	კლასიფიცირებას ახდენს	გრაფიკულად გამოსახავს	აზუსტებს	მიუთითებს



იწერს	ყოფს/ ახდენს დიფერენცირებას	ასრულებს	ასხვავებს	წინასწარ განჭვრეტს /პროგნოზირებს	უზრუნველყოფს
იმეორებს	განიხილავს	გამოითვლის	გამოავლენს განსხვავებებს	ზომავს	ხსნის
აღადგენს	განასხვავებს	აგებს	ყოფს	ირჩევს	ხელს უწყობს
მიმოიხილავს	ამუშავებს/ავითარებს	მოარგებს	ახდენს დოკუმენტირებას	აჯამებს	აყალიბებს
არჩევს	აფასებს	აჩვენებს	გამოცდის	მხარს უჭერს	აფორმებს
ადგენს	გამოსახავს	ამოკრებს	ხსნის	გამოცდის	აზოგადებს
სწავლობს	ხსნის	განსაზღვრავს	იკვლევს	ადგენს შესაბამისობას	აგენერირებს
ადგენს ცხრილს(ახდენს ტაბულირებას)	პროგნოზირებს	გამოფენს	შეისწავლის	ამოწმებს	უმკლავდება
აღმოაჩენს	ანაწევრებს	გამოცდის	ავსებს		აუმჯობესებს
	აზოგადებს	შეისწავლის	აჯგუფებს		ახდენს ინტეგრირებას
	წარმოადგენს,	გამოხატავს	გრაფიკულად გამოსახავს		ცვლის
	ასკვნის	გამოითვლის	ასკვნის		ორგანიზებას უწევს
	გადაამუშავებს	გამოსახავს/ასახავს	აღნუსხავს		გემმავს
	გამოთქვამს შენიშვნებს	არეგულირებს	იძიებს		აჯამებს
	ახდენს ინტერპრტირებას	მოიძიებს	წარმართავს		აკავშირებს
	აკვირდება	ოპერირებს/მუშაობს	აუმჯობესებს		ერთვება/მონაწილეობს
	ახდენს პარაფრაზირებას	ცვლის	მიუთითებს		განჭვრეტს
	მიმოიხილავს,	წარმოადგენს	განსაზღვრავს პრიორიტეტებს		გადახედავს



	ამოწმებს	პრაქტიკაში იყენებს	გარდასახავს/ცვლის		აზუსტებს/გამოკვეთს
	აჯამებს	ამზადებს	უკავშირებს		გამოსახავს
		აფასებს (შეფასება)	ირჩევს		ამზადებს
		ამუშავებს			აწარმოებს
		აწარმოებს			აპროგრამებს
		შეიმუშავებს			ახდენს რეკონსტრუირებას
		წყვეტს			აკავშირებს
		აკავშირებს			ასწორებს/აკორექტირებს
		თამიმღევრულად ალაგებს			აუმჯობესებს
		შიფრავს			
		თარგმნის			
		ქმნის			